

შეთანხმება N1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N23 ხელშეკრულებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ.

ქ. ბათუმი

28/06/2019 წელი.

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი - წარმოდგენილი დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის - რაულ ბერიძის სახით (შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, შპს „ზიმო 7“ წარმოდგენილი დირექტორის მარინე მანგალაძის სახით, შემდგომში “მიმწოდებელი”, მხარეთა შორის 2019 წლის 28 იანვარს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული N23 ხელშეკრულების (ქედის მუნიციპალიტეტში ს/გზა “წონიარისი-ვარჯანისი» კმ0+000-კმ1+650 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა), მე-12 მუხლის 12.3. და 12.6. პუნქტების საფუძველზე დეპარტამენტის 21/06/2019 წლის N1527, 26/06/2019 წლის N1565, შპს „ზიმო 7“-ის 25/06/2019 წლის N01-10/201, 26/06/2019 წლის N01-10/203, შპს „გზაპროექტის“ 26/06/2019 წლის N16 წერილების, დეპარტამენტის ტექნიკური სამსახურის ქედის განყოფილების უფროსის - თემურ დევადის 18/06/2019 წლის N629, 26/06/2019 წლის N674 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით და დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს 2019 წლის 27 ივნისის (N29 სხდომის ოქმი) გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის 2019 წლის 28 იანვარს დადებულ N23 ხელშეკრულებაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ხელშეკრულების მე-13 მუხლის „ხელშეკრულების მოქმედების ვადა“ 13.1 პუნქტი, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 05 აპრილიდან - 2019 წლის 03 ივლისის ჩათვლით, ხოლო გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებისათვის - 15 ივლისის ჩათვლით. გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ხელშეკრულებას თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. “შემსყიდველსა” და “მიმწოდებელს” შორის 2019 წლის 28 იანვარს დადებული N23 ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, ერთვის შესყიდვის შესახებ N23 ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

“შემსყიდველი”

“მიმწოდებელი”

დეპარტამენტის უფროსის

შპს „ზიმო 7“-ის დირექტორი:

მოვალეობის შემსრულებელი:

მარინე მანგალაძე

რაულ ბერიძე

